

დეკლუვეტლ



იუმორისტული

და ლიტერატურული ალმანახი № 2.



POTTER.

ბრუნა ალბანა კლუნიჩიხ ტოტაძე

სალიტერატურო და საოხუნჯო აღმასწავლებელი

ლიკლიპიტი

ლის ყველაზე 7 კაპ.

მიიღება განცხადებები: პირველ გვერდზე—15 კაპ.
უკანასკნელზე — 10 კაპ.

მისაღების გამოგზავნა შეიძლება შემდეგად აღრესით:
Тифлисъ, ред. „Заквказье“ Е. Горделадзе.

ფიქრები

ვინ სთქვა ქართველებს კულტურა არ ჰქონებოდა, აბა რით აიხსენება ის ჰუმანიური საქციელი ქართველებისა, რომ არასოდეს საქართველოში არც ერთხელ „პოგრომი“ არ მომხდარა. არ ახსოვს ისტორიას საქართველოში რომელიმე რჯულის ან ეროვნების ხალხს დევნა-წვალემა განეცადოს. საქართველოში კოვლეგან დევნილი, მაშვრალი და ტვირთ მძიმე პოულობდა თავშესაფარს და სარჩო-საბადებელს. ნურვის ჰგონია თუ ეს მხოლოდ ქართველი ხალხის უფიცობისაგან ყოფილიყო, ან პოლიტიკური ლიბერალიზმით, არა, ქართველი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მტკიცეთ იცავდა თავის რჯულს, არასოდეს არ ზღუდავდა არავის სარწმუნოებას, არ სდევნიდა არც ერთს ეროვნებას, რომელიც კი არ მოინდომებდა მის დარბევა-აწიოკებას და იმდენად ფაქიზი იყვენ ზნეობრივთაც, რომ არც ერთს ხალხს, არა თუ აზიის ქვეყნებისას, არამედ თვით ევროპელებისასაც კი არ შეუძლია დაიქალოს ასეთი ზნეობა, მოვიყვანთ აქ ერთ თვალსაჩინო მაგალითს: ოსმალეთის ისტორია მოგვითხრობს, საშველო საუკუნოებში თურმე ხშირად არბევდნ საქართველოს განაპირა ქვეყნებს, „სელჩუქელები“—თათრები მცირე აზიიდან. „გამოვიდა ქართველები მოთმინებიდან—მოგვიბოხრობს ოსმალეთის ისტორიკოსი,—გაღწეულს სელჩუქელებზე და სულ ცოტა ხანში დაიპყრეს მათი ქვეყანა, მხოლოდ ამ დაპყრობილ ქვეყანაში კი არ გაჩერდნ, იმიტომ, რომ სელჩუქელები გარყვნილი ხალხი იყო და, ქართველებიც მათი წაბაძვით არ გაირყვნანო. აიღეს ხარკი, ჩაჰმართვეს ფიცი, რომ ისინი თავიანთ საძღვრიდან ფეხს აღარ გადმო-სდგამდნ და დასტოვეს... ნუ თუ ყველა ეს მოვ-

ლენანი არ ამტკიცებს ქართველების უმაღლეს კულტურას?“—მაგრამ... ნათქვამია „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“.

იხე რაჭველი.

„—იმერეთში კი ხონელებიო...“

— მოშკა! ჰა, მოშკა!—ეკითხება ხონელი ურიას, — თუ კაცი ხარ მითხარი, რატომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ურიებს არ სდევნიან?..

— ამაზე ადვილი გასაგები რა არის,— მიუგო მოშკამ,— სადაც ხონელია იქ ურია რაღა სადევარია...

— შენმა თავის გახეთქამ... მაშ ოსმალეთშიც ხონელებია თუ?..

— ოსმალეთში, სომხები გახლავს და ამიტომ არც იქა აქვს ადვილი ურიების დევნას...


— ვითომ რატომ?..

— იმიტომ, რომ სომხები ბევრად უფრო დახელოვნებულნი არიან... ურიას თქვენ გაიცნობთ რამოდენიმე მანეთით, ის შორს არ იტკირება, მას დღევანდელი კვარცი ურჩენია ზვლინდელ ქათამს... სომხები-კი, ასეთი როდია, ის ოც კვერცხსაც კი ადვილად შეეღვევა თუ დარწმუნებულია, რომ ზვალ ქათამს იგდებს ხელში...

— მაშ, აბა, იმიტომ სდევნიან ურიებს რუსეთში და სომხებს ოსმალეთში... რუსეთში ურიები—მეტი, ოსმალეთში კი სომხები?..

— იმერეთში-კი, ხონელებიო, — მიძახა ურიამ.

იმმა



რ ა ს ა ს წ ე რ ე ნ .

(თქმული ლ. ნ. ტოლსტოისა).

ჟურნალ „ნივა“-ში მოთავსებოლია ლ. ნ. ტოლსტოის წერილი მეფის შესახებ, რომელმაც მოისურვა ღმერთის ნახვა. მეფის სურვილის დაკმაყოფილება იკისრა ერთმა მწყემსმა. მეფე მწყემსმა შეიდანზე გამოიყვანა, დაანახვა ბრწყინვალე მზე და უთხრა: — ჰვედავ!

მეფემ თავი მალა აილა, სურდა შეეხედა, მაგრამ მზის სინათლე ჩაეჭრ მეფესა თვალში და ისევე მალე დაღუნა თავი და დახუჭა თვალები... ეს რა მიყავი? უთხრა მეფემ მწყემსს.— შენ ვინდ ჩემი დაბრძოლება?—

— ხელმწიფევი— მიჰმართა მაშინ მწყემსმა, —
 ეს ხო ერთი ღვთის ქმნილებათაგანია, ერთი პა-
 ტარა სხვია მისი უდიდესი არსებობისა. ეს ერთი
 პატარა კუთხეა ღმერთის აღზნება ცეცხლისა და
 როგორ გინდა ღმერთის ნახვა. როდესაც უმნი-
 შვნელო სხვი მისი უდიდესობისა ასე მალე
 გაბრმავებს? ეძიე ღმერთი, მაგრამ სხვა თვალებით.
 ეს აზრი მწყემსისა მეტად მოეწონა მეფეს და
 უთხრა მწყემსს:— ვხედავ შენს გონებას და ვაფი-
 სებ კეკუს შენი სულისას. მხოლოდ ერთ კითხვა-
 ზეც მომიგე, თუ რა იყო ღმერთზე ადრე.

მოიფიქრა მწყემსმა და უთხრა:

— გთხოვ მეფეო, ნუ გამიწყურებით და და-
 თვალეთ!

მეფემ დაიწყო:

— ერთი, ორა...

— არა, არა... გააწყვეტინა მწყემსმა, — ევრე
 არა. შენ ერთის ადრიან დაიწყე.

— როგორ შეიძლება ერთის ადრიან, როდეს-
 საც პირველზე ადრე სხვა აღარა არსებობს?

— თქვენ მართალი ხართ მეფეე. და ღმერთზე
 ადრეც აღარა არსებობდა.

უფრო მეტად მოეწონა ეს მეფესა და კიდევ
 მიჰმართა მწყემსს.

— ამისთვის მე დავასაჩუქრებ ძვირფასი საჩუ-
 ქრებითა, მხოლოდ მომიგე მესამე კითხვაზე: რას
 აკეთებს ღმერთი?

— მწყემსმა იგრძნო, რომ მეფის გული და-
 მშვიდდა, დალბა.

— კარგი, ამაზეც გიპასუხებ, მხოლოდ თქვენც
 ამისრულეთ ერთი თხოვნა: გავცვალოთ ტანისა-
 მოსი.

გახიზა მეფემ ტანიდან ტანისამოსი და ჩა-
 აცვა მწყემსს, ხოლო თითონ მწყემსის ტანისამოსი
 ჩაიცვა და მწყემსის აბგა ჩამოიკიდა. მწყემსი ავიდა
 ტახტზე აიღო ხელში მეფის სკიპტრა და მიუთითა
 მის ტანისამოსში გამოწყობილ მეფეს:

— აი რას შერება ღმერთი: ერთს მეფედა
 ჰხდის და მეორეს კი მწყემსად. შემდეგ მწყემსმა
 ისევ გადაიცო თავისი ტანისამოსი. მეფე დაფიქრა,
 ღრმად ჩაეჭრა მას გულში მწყემსის სიტყვა და
 დაიძახა:

— აი ესლა ვხედდავ ღმერთს!



მოსწრებული სიტყვები.

I

ოზურგეთში სალდათების მიღების დროს, უეზ-
 დის ნაჩაღნიკის თანაშემწემ შეამჩნია ერთს გუ-
 რულს რომელსაც კენჭი უნდა ამოედო—

— ეს რა არის ბიჭო! წითელი პერანგი რომ
 ჩაიცივამს, რევოლიუციონერი იქნები შენ უეჭვე-
 ლადო.

— ბატონო, — მიუგო იმ წამშივე გურულმა
 თუ რევოლიუციონერობა წითელი პერანგით შე-
 საძლებელია, მაშ ეს თქვენი სტალიც რევოლიუ-
 ციონერი ყოფილა რაკი წითელი მაუდი აქვს გა-
 დაფარებულიო.

II

ბათუმში „რეკრუტებოა“ შორის რუსებიც
 ყრია. — ერთმა ჯგუფმა ამ უკანასკნელებისამ მი-
 მართა გურულმეთა ასეთსავე ჯგუფს და უთხრა
 — თქვენ ხომ რეკრუტები ხართ, როგორ გაჩერე-
 ბულხართ, მიღით ა იმ მეხილე და ბაყლის დუ-
 ქანში, რაც გინდათ აიღეთო. ვერა, მაგას ვერ
 ვიქეთო, მიუგეს გურულმებმა, რატომ თქვენ არ
 შერებით თუ კარგიაო. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში
 მეტსაც ვშერებით და აქ კი თქვენ უნდა ქნათო,
 აბა რის ამხანაგები ხართ, წაართვით და გვიწილე-
 თო. უკაცრავათო — მიძახა ერთმა ყმაწვილმა,
 თქვენ თქვენს ქვეყანაში რაც გინდათ ის ქენით,
 მაგრამ აქ კი დაგვანებეთ თავი თუ ღმერთი გწამთ,
 კმარა რაც დაგიჯერეთ და ვიარეთ თქვენს გაპირე-
 ბაზე, სიგლახის მგტი თქვენგან არაფერი გავვიგო-
 ნია და ახლაც ამას გვირჩევთო...

— ნიკოკიავ! რას ელაპარაკები, დედა ნუ მო-
 გიკვდება, სიკეთე თავისთვის რა აქვენ, რომ ჩვენ
 გვასწავლიან, ან მოგვცენ... ათასი წელიწადი ქე
 არიან მონათ...

აღ.

„...კაცი კაცის სარკეაო“.

(რეტენზიას მავიერა).

5 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგე-
 ნილი ბ. პ. ვოთუას პიესა „პარტიის კაცი?“ არ
 შეიძლება ითქვას უნაკლულო პიესააო, მაგრამ სი-
 ნამდვილეს მოკლებულა კი არ არის. ის საკმაოდ
 ახასიათებს ჩვენი ქვეყნის მოძრაობის რამოდენიმე
 მომენტებს ცოცხლად და მკაფიოდ. ექვს

გარეშეა, მისი ავტორი, სხვა პირობებში რომ ყოფილიყო პიესაც უეჭველად უფრო მარტივი და შინაარსიანი იქნებოდა, მაგრამ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაში, ასეთს საგანზე მეტი არა დაიწერებოდა რა. „დროება“ კი გვიმოკლებს თითქო პ. გოთუას, დიდი ჩვენი მოძრაობა დაეგმოს ამით, ის ამბობს სხვათაშორის: „ბევრ ჩვენებურ ისტორიკოსების ისტორიას მოკლე ფხვები და ბეცი თვალეები აქვს, ასეთი ისტორიის დაწერი გამოდგა პ. პ. გოთუაც“ო. (იხ. დროება № 273)*. რა შვაშია აქ ისტორია, ან რველიუტია? დას იყო ეს რველიუტია, რომ მისი ისტორიის სასაყვრად თავი იმტვიროს ვინმემ... რუსეთში რომ რველიუტია არ ყოფილა, არამედ „ბუნტი“ ეს ნათლად სჩანს ბ. ივ. გომარტელის წერილებში (იხ. „ფონ“ № 10, 11, 12). თუ განაპირა ქვეყნებში, შედარებით შიდა რუსეთისა უფრო მეტი მხხვევპლი შესწირეს ამ მოძრაობას, ამით ის კი არ ითქმის, თითქო ისინი ნამდვილ რველიუტციონერები იყვნენ, არა, ამით მხოლოდ ის აშკარადება, რომ განაპირ ქვეყნებში უანგარიშით შეტრავს რუსეთიდან გადმონახსლულ „ესდევურა“ ილიუზიებში, რომ რუსეთი, ეს უზარ-მასარი ქვეყანა, 75 მილიონი მცხოვრებით მარქსის დროშას ქვეშ არის შემდგარი და გაიძახის ერთხმად „პროლეტარებო მთელის ქვეყნისაგ მოგროვდითო“. ნამდვილად-კი ამ ვებერთელა ქვეყანამ პურიშკევიჩ-მარკოვებისებური შეოპრები უფრო ბევრი წამოუყენა, ვიდრე პლენხანოვ-ლენინები.

ამიტომაც ბ. პ. გოთუას პიესა „პარტიის კაცი?“ „მეტი“ ისტორიის ნაყოფი კი არ არის, არამედ ნამდვილი თვალთა ხედვაა ბეცი ხალხის მოქმედებისა, რომელიც უსიტყვოთ მისდევს სხვის ნაკარნახევს.

ჩვენს ქვეყანაში ხშირი მოვლენაა, რომ ბევრი მწერალ „მოღაწე“ თავის თავს ბუმბერაზს ეძახის და სხვას კი ჭია-ლუას, ასეთივე, სენი სჭირს მომავლის შეპრესესაც: თავის თავი წარმოუდგენია რალაც ბუმბერაზად, ალბად ხარა-ბუზად სხვები ბუზებად და ჩვენი აღმანახის იუმორისტი კი წეროლ ბუზად, კაცია და ეუნებაო; დაგილოცავს მისთვის ხარაბუზობა და დიდმა ბუზმა დაე დიდი ნეხვი აგორავოს და ჩვენ კი, რაეჭათ ისევ თაფლს მივაშურებთ. თქვე დალოცვილებო, რაღა ყველა თქვენთაგანი მუშაურისხართ მხეტთა ტრფიოლს, ხან „სუბრები გელანდებთ თვალწინ, ხან თავები და ხან კიდევ ბუზები, თუმცა ვასაკვირალი არც აქ არის რამ, რადგან, ნათქვამია „კაცი კაცის სარკეთი“.

ია

*) „მომავალზე“ რა გვეთქმის?!

„დესკანნი“
მატარა ამბავი.
(ახალხის სხოვრებინან)

ვინ წარმოიდგენდა თუ ეს საქმე, რაც ქვემოთ უნდა მოგიხბრათ, ასე საარაკოდ დასრულდებოდა, მართალია, დღევანდელ დროს ვასაკვირალი არაფერია, მაგრამ თუ ასეთს აღაშინებს შესხვდებოლით, უბრალო მშრომელ ხალხთა შორის, უნდა გამოგიტყდეთ, არ მეგონა. ხომ იცნობ იოილს... ჩვენს იოილს?... საარაკო საქმე ჩაილინა, სწორეთ საარაკო. ბევრს არა სჯერა და ბევრიც სულელს უძახის, რატომ მოიქცა ასეო, მაგრამ სიყვარულს ჩემო ძამია ბევრი რამ შესძლებია...

დიდი ხნის ამბავი არ არის ეს, აგერ ახლა იყო სულ ორიოდე წელი ძლივს იქნება. ქალაქ ქუთაისში გიხვლით კერძო საქმისათვის, მივაწყვიმოვაწყვე ჩემო საქმე და ბორჯომში მეგობართან გაპრობდი.

დიდებულ ქუთაისის ბულვარიდან გამოველილი და ივანოვის ქუჩას შევეუდექი, მეგობრისას მინდოდა მივსულიყავი, მიხბრეს შენი ნახვა უნდაო. გეცოდინება, უეჭველად, ამ გზის ავაკებაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ყოფილ მესვეურთა დიდების ნაშთი ბარიკადა არის, დაუძლეველი ბარიკადა; რომელიც დღესაც დგას—ოცხელების ომნიუსი. იქ რომ მივადწე შემხვდა დათიკო მეფანდურე, უსადლოდ იცნობ შენც, როგორც კარგ მსიმიდერეს... ო!.. ანდრის ვახლავარ... კაცო, მთელი დღე დაგეძებ, სადა ხარ? შენთან დიდი, ძალიან დიდი, საქმე მაქვს და დღესვე უნდა გავემგზავროთ მე და შენ ბორჯომში... დიდი საქმე მაქვს დიდიო. ხომ იცი ჩემი ამბავი, ვიფიქრე უეჭველად, მართლა რამ დიდი საქმე ექნება თქო... მეც იქითვე მივდივარ მეთქი. ვაუხარდა, მაგრამ დიდი საქმე რა იყო მაინც არ მიხბრა... გაიგებ, გაიგებო...

მე კი, კიქინაზე ვსკდებოდი, ნეტავ რა საქმეა თქო. მივედი მეგობრისას (ახლა კი აღარაფერია იმ დიდამა საქმემ ბევრიც მაწეალა და მეგობარიც გამოშინაშკარავა, მეგობარი კი არა თურმე ისე მიყურებდა, როგორც...) მაგრამ ამაზე შემდეგ...

მივედი თუ არა ნამეგობრადისას, შემომძახა „რა კარგ დროს, ჩემო ანდრისას, რა კარგ დროს!.. ისე მომეგება თითქო ძალიანაც უყვარდი... მეგონა კიდევ რომ უყვარდი იმ დროს — დათიკო შეგხვდა!.. გითხრა ჩემი საქმე?..

ჩემი... იცი ჩემო „მეგობრობის ტალკვესო!..“ არაფერი არ გითხრა... გეტყუდა, გეტყვის... გეტყვი... მობობანდი, მობობანდი, აი აქეთ, აი, აი...

ისე არეულად ლაპარაკობდა, რომ რაღაც „ფარსაკი“ არ შეგონა, გამასენდა მრავალ წაშე ბული-საქართველოს წარსული დრო და ვიფიქრე, სწორეზ რაღაც დიდი შეთქმულება უნდა მზადდებოდეს საქვეყნო საქმის შესახებ მეთქი აბა სხვას რას ვიფიქრებდი ასეთ მომენტთა უღვეტის ხანაში, რას წარმოვიდგენდი თუ ეს დიდებული ხალხი რომანის თამაშს აპირებდენ, რას წარმოვიდგენდი თუ ამ რომანის გმირი ეს ჩემი მეგობრობის ტალკვესი იყო ერთის მხრით და მეორეს მხრით კი ჩვენი იოლი, კაცო ვესმის? ჩვენი იოლი, ის იოლი საცა მე და შენ არა ერთხელ გამოგვიძლია ჩვენი, სიხარპაცისაგან ვაპროლეტარებული მუცელი, საცა ისე დადილით მე და შენ და ის დიდებული რანდი, რომელმაც ასეთი დიდი გრძობა გამოისინა ფატმანის, იოლის ცოლის წინაშე და წაიყვანა თან, იმიტომ რომ, იოლი შენ საესებით ვერ გაყმაყოფილებს...

ვისაუზმეთ. გამოვევლით სახლიდან და გავსწიეთ ვოკზალისკენ. ვეძებდი დათიკო მეფანდურეს, ისიც შეგვხვდა. აბა, მეგობრებო, გეითხრა მან, თქვენ შოილაპარაკეთ ამ ჩვენს საერთო საქმეზე და მე კი, ცოტა რაღაც საქმე მაქვს, სულ უბრალო, აგერ ერთ საათში მოვრჩები და მოვალმეფანდურე გავემორდა. გამოვსწიეთ მიფარებულმისუწებულის ქუჩით. გულის ფანქცალით მოველოდი დიდებული საქმის აღსარებას, ვფიცულმადი გულში, რომ დამიქირონ, გინდ დამახრჩონ, ამხანაგებს არ გავსთქვამ, გინდ ოსმალური მუხრუქიც მომიქირონ თავზე და ტინი სულ გამოიღეს სან, მინც, მოვითმენ, არ გავსთქვამ ამხანაგებს მეთქი...

„რა მუხრუქიო?“ მეკითხები! — ისმალეთში დიდებულმა ფადიმალმა ვაუტყხელ მლადოთურქებისთვის? მეტი რომ ვერა ვაწყურა მოიგონა მუხრუქი, ერთ ნაირი ვინტაინი რგოლი, შემოარტყამდენ თავზე და თან და თან უტყვრდენ ვინტს, რომ გამოეტყნათ დამნაშავენი, ხშირად კიდევ სტყბდენ ამ საშელებით, ერთხელ ფადიმას მოასხენეს: ისეთი სპირიტი მოვიდა ბატონო, რომ რომელი პოლიტიკური დამნაშავეც გინდათ, გინდ დიდი ხნის მკვლარც იყოს გამოიწვევს და მთელს თავის ამხანაგებს გაამხელიებს. ვით იგნსაც რომელიც მუხრუქმაც ვერ გამოსტყნა ფადიმას ძლიერ გაუხარდა, მაგრამ ბოლოს თავის საფადიმასხოდან გააძეგბია ეს უცნაური სპირიტი. აღმოჩნდა რომ მთელი ოსმალეთის მცხოვრებიც დიდი და პატარა, ვინც ძლიერ გაძლომისაგან დაუძლურებული არ იყო და

როგორმე კიდევ მოძრაობდა ყველა შეთქმულებაში ერთი თურმე... ბოლოს იმდენად თავს გავიდა ეს ასირებული სპირიტი, რომ ერთ ფადიმასის ძრიელ კარგს მეგობარს, ზღვის მინისტრს, რომელიც უცებ მეტი ფლავით გაძლომისაგან გადიცვალა ისიც ათქვეინა, რომ არეულობაში და ოსმალეთის დაღუგვაში თვით ფადიმასი მენმარებოდა, ქთანს სამშობლოს გაყიდვაში ერთად ვლებულობდით, როგორც მე. კონცესია ბაღდადის რკინის გზის და სხვა... ერთი მილიონი ლირა ერთად გავიყავითო. საწყველ სპირიტს, ამ ბოღვისთვის კინაღამ მუხრუქი მოუქირეს თავზე, რომ უფრო მეერი არ თქვასო და უცებ გააქანეს ბასფორის უფსკრულსაკენ...

დიად ჩემო კარგო, ასე მქონდა გადაწყვეტილი არას გავამხელ გინდ ტყავიც გამამორჩქო, მაგრამ სპირიტი?.. დავეკითხე თავის თავს... ის ხომ მოაღჩევს... სწორეთ ამ ფიქრში რომ ვიყავი, ვაი თუ სხვა სპირიტი ვამოჩნდეს თქდ, დაიწყო კიდევ მეგობრების მტალკვესემ: „იცი ძმაო—შენზე კარგი მეგობარი რომ არა შეყავს?.. კი, ეს შენ კარვად იცი და, ამიტომაც გენდობი და გეტყვი ჩემს საიდუმლოს, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩემი აწმყო და მომავალი და... შენ იცი თუ ჩემი ძმობა გწამს შემეწევი!.. აღარ გავფარძელებ... რაღაც საუბედულოდ... შემეყვარდა... შენც ხომ გყვარებია და გყვარს!..“

წამოსთქვა თუ არა ეს სიტყვები „მრენხა“ გულზე, როგორც გურულები იტყვიან, მაშინვე მივხვდი დიად საქმეს, დიად იდეას, დიად საულუმლოს, რომელიც, როგორც მაშინვე გამოირკვა მისი სიტყვებისგანვე, მხოლოდ მე, მისმა ერთათ ერთმა „მეგობრობის ტალკვესმა“ არ ვიცოდი თვარა სხვამ ყველამ იცოდა თურმე.

აღარაფერმა ვასტრა, არც გულახდილმა რჩევამ არ ვარგა ეს საქმეთი, არც ხევეწნამ—მოთმინება საქირო თქვა, არა მათელი ქვეყანა რომ წინადმიდგეს მე ეს უნდა ვქნა, ვათავდა და მორჩა, მე უმისოთ, არ ვარგვარ, ის უჩემოთ, დავილუბები. მეც და, ჩემი ტალანტიც გაქრება თუ ის არ შევირთო... და... იცი ვინ?.. იოელის, ჩვენი იოელის ცოლი.

II

რკინის გზის მეორე კლასის ვაგონის კუბეში ვსხედვართ „დესანანი“—მე და დათო და მივემგზავრებთი სდიბლომატოთ, ბორჯომისაკენ.

—ანდრეს!—როგორ უნდა დავეწყოთ, როგორ შეუდგეთ ამ საშინელი საქმის მოგვარებას... საშინელი წილი გვხვდა... ოღლიც ახლა იქ იქნება და... ეჰ!.. დასწყველა ღმერთმა... გლახა მდგომარეობაში ვართ...

—სრულიადაც არა, კაცს ცოლი უნდა შვირ-
თო და სწორეთ ცოლს ირთავს..

— ხუმრობ? დამეკითხა ამხანაგი..

— არა თქო მიუფე, — რა დროს ხუმრობაა, კაც-
მა ქალიშვილი ვერ იშოვნა და არც უნდოდა
„ცოლი“ უნდოდა და აი იოლის ცოლს ირთავს,
გათავდა და შორჩა..

— კაცო! კიდევ ოსუნჯობ? რა დროს ეგ არის?
როგორ უნდა უთხრათ იოლის, რომ შენს ცოლს
სხვა ირთავსო?..

— როგორ?.. ისიც ხომ დათანხმებულა?..

— ჰო, მართლაც, თვითონ მას დაურთავს
ნება, როგორც გინდათ ისე მოიქცეითო. მაგრამ
ერთი რამე კი ძალაან მაკვირვებს, აკი სამღვთო
წერილი გვეუბნება ეგ ღმერთმა აღამის გვერდიდან
გააკეთაო. რუსეთი ეტყვიან ცოლს „ჩემო ძვირფა-
სო ნახევაროგო... დამტკიცებულა ხომ, რომ ქა-
ლი კაცის გვერდია და უქველად უნდა მონახო
და შეიწებო ეს გვერდი და როგორ არის, რომ ეს,
საკვირვლად ამოღებული გვერდი, ხან ერთს მიეკ
რება ხან მეორეს?..


— ნუ მასხრობ თუ ძმა ხარ, რა დროს ეგე-
ნია...

— უკაცრავად, მართლაც ჩვენ ხომ ახლა ავ-
თანდელი და ფრიდონი ვართ, მივდივართ ნესტან
ღარეჯნის საძებრად...

ორივემ ძალზე გადვიხარხარეთ და ბოლოს
ამხანაგმა დაუმატა ჩვენი მსოფიანი პოეტის, აკაკის
სიტყვები:

„ვინ რა იცის რომ ეს გული მკვდარია
და სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარია“.

მლი.



— გოგიავ!.. ბიჭო, გოგიავ!..

— რაა, რას ზლოქინოფ... რა დაგემართა?!...

— რაა რაა?.. შე ოჯახს კეტინაო?... ამ გა-
ზეთებს ვერ ხედავ... არ კითხულოფ?... ხომ ხე-
დავ, რა მომხთარა საშინელი?... ვინცა პართენ
გოთუას თლათ გუუუუსტიკებვართ... საჯალი საქ-
მე ჩაუდენია... ჩვენი აფხანაკები შეუწყვანია ტვა-
ტრის სცენაზე, ჩაუყრია იქიდან ორმეზში და ასე
უთქვამს“ მაქიდან აღარ ამოხვიდეთო...

— რას ჩივი, სა სწერია, მაგი?.. ასთე რავე
წაუხდებოდით, რავე გაბედიდა?..

— მაი რა უნდა იყოს, კილა უარესი უქნია,
დუუწრუბუნებია და პარტიის ჩვენი მუშათა პარ-
ტიის ბელადის დანიშნული, კვი გამოკვარახკინე-
ბული ციკაი, შენ ხარ ჩემი ბატონი... აი დაწყევ-
ლოს ღმერთმა რა ფინთია ჩაულობა... შენ ხარ
ჩემი აფხანაგი... და ქი გადუცია ეგერ ვინცა სხვის
ცუის... ვაი დედა მიისს... თურმე იგი ციკაი სა
შინელი ლამაზი ყოფილა. მარა!.. იგი იმას, ი

ვინცა გოთუა ყოფილა მოგეცა ხთის წყალობა
იმას ავინებენ:

„დროება“: ეს არის განვიცადეთ ის, რასაც
ისტორია „რუსეთის რევოლიუციას ეძახისო“.

— რაა, რაა?.. ეძახისო?.. რაა, ნამდვილათ
კიარ ყოფილა თუ?..

— რაა არა კი იყოვო, ამტკიცებს იგი და
სტორეთ ამიზა მოსლია კუჭი ყველა ვაზეთებს და
ერთხმით ჩივიან... რაა გაბედა გოთუამ იმისთანა
ბინძური რამეების გამოტანა სცენაზე, რაც ყოველ
ფების ნაბიჯზე ხდებოდა, მას ამისთვის ხელი უნდა
დაეფარებია და რაც კი კარგი რამ იყო იგი უნდა
ეჩვენებიაო...

— რომელს და ამ უკანასკნელ ჩვენს მოძრაო-
ბას, უფრო კი 1904, 5 და 6 წლებს:

— მერე რაა, ყველაფერს იწუნებს თუ?..

— აკი ვითხარი, აუღია ორი სამი გლახა და
უსვინიღისო მოქმედებები და..

— მერე რაა?.. ამისთვის ავინებენ?.. გლახა
და ურიგო რაც იყო აბა არ უნდა ეთქვა?.. განა
კრატა სიგლახე ჩვეიღინეთ?.. შე კი ჩემო ძამია იმ
პიესაში „პარტიის კაცი“... რამდენი არ ვეძიე,
რამდენი არ უქიტინე ტყუილი ვეფერი ვნახე და...

— რას ჩივი კაცო! აბა რეიზა ავინებს ყველაი,
აი ვაზეთები: „დროება“, „მომავალი“, „საკავკა-
ზიე“ და სხვა...

— არა ჩემო მელიტო! აქ რაცხა სხვა ამბავი
უნდა იყოს...

— რა სხვა ამბავიაო, ვერ ხედავს... „მომავა-
ლი“ თითქმის იმასევე ამბობს რასაც „დროება“ და
„საკავკაზიე“...

— მე შენ გიჩივი, რაცხა კია თვარა, აბა სად
„დროება“ და „საკავკაზიე“ და სად „მომავალი?..“
აბა წვევითხთო.

— მარა, აკი წვევითხთე... ჰო, მივხთი, აქ
უფრო სხვა მიზნებია, სემო ძამია და აი რა, ხომ
იცი შენ რომ ამ ბოლო ხანებში დროება და მო-
მავალი როგორღაც რომ „სოლიდარობენ“ ჰმ!..
აბა სტორეთ ეს არის მიზეზი რომ ასე თითქმის
ერთხაირათ გაულაშკრნით...

— კარგი ერთი და... საკავკაზიე?..

— ესთქვათ ეს ასეა, მაგრამ ეს რაღაა „დროე-
ბა“ რომ ამბობს... პიესას არა სასიამოვნოა სუნცი
უღისო და დასძენს „რომლითაც ჩვენი ახალი
მწერლობა გაუღენთილია“.

— მაგი, ჩემო გოგიავ?..

რა მაგიო, რატომ ლაპარაკოფ, ამას?..

— იმიტომ რომ საჭიროა შევიგნოთ ჩვენი
შეცოლომები, კმარა... სიგლახის ხელის ფარება,
მარტო კარგის გამოაშკრავებით ფონს ვერ გავალთ.
ძალიანი კარგი უქნია თუ ასე აშკარათ გამოუ-
ქვეყნებია ჩვენი წარსულის სიდუხჭირე, მართლაც,
გლახას უნდა მხილება თვარა, კარგი ხომ კარგია
და კარგი... აბა ერთი ნახე რას უქიენებენ ავ-

ტორს, თითქო ის ცილს სწამებდეს ესდევების ბე-
ლადს, აბა როდის ამბობდენ ეს სახლი შენი კიარ
არის, არამედ ჩვენი მუშებისაო, განა ცოტა იყო
ასეთი მაგალითი, განა მარტო ვე იყო, სოფლის
გლეხებს, მე არ მახსოვს რას ვგეუბნებოდენ?. მიწა
არ იყოდნო ბატონებისგან, იგი მინც თქვენი
იყო, თქვენი და თქვენი იქნებაო. არ ვახსოვს
სიკოლიას ბოიკოტი რომ გამოუცხადეთ, რათ იყი-
დე ნაკაშიდისგანთ მამულიო. აქაო და არტისტებ-
საც გადასწვდენიან და უსაყვედურებენ რად წარ-
მოადგინეთო. არა ჩემო გოგიაგ! ვე არ არის სწო-
რი მსჯელობა. ნამდვილი თუ გინდა, ჩვენთვის
დღეს, ძალიან საჭიროა ასეთი პიესების სცენაზედ
დადგმა. კიდევ, ხედავ რაგებს სწვრენ თითქო მხო-
ლოდ, სათავადანხაურო გინაზისი შეგირდებს მო-
სწონებოდეს ის პიესა და სხვას კი არავის და მე
კი მნახველებმაც მითხრეს, რომ გოთუა ქვემოდამ,
ლოჟა პარტერებიდანაც გამოუწვევიათ, ვაშაც ბევ-
რი უყვირიათ. ტყვილა ფიქსულობს ყოფიანი შე
თვითონ დაინახე გოთუა, რომ ლოყიდან ხალხს
თავს უკრავდაო, ჩვენ ყოფიანს უფიცოდაც გვწამს
რომ ამ პიესის ავტორს უმრავლესობა დიდ ავაციას
გაუკეთებდა და გაუკეთებენ კიდევ. ყველაფერს
რომ თავი დავანებოთ ის მინც ცხალზე უცხადე-
სია, რომ პ. გოთუას ეს „სოლიდარული“ გრძნო-
ბის მექონე გაზეთები პირდაპირ ცილს სწამებენ,
როცა ამბობენ თითქო გოთუა დახელოვნებული
იყოს მთავრობისთვის არასასურველი პქარების
წაშლის ცენზორობის დროს და თითქო ახლაც ეს
ჩაედინოს. ეს კი, ყოველშემთხვევაში დიდ ცი-
ლის წამებათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენში
ასე იყო ყოველთვის და ახლაც ასეა, თავიანთ
თვალში ღვირგს ვერ ხედავენ და სხვისაში კი ფინ-
ჩსაც დიდ სიგლახეთ სთვლიან.

ი რ ა .



მეკა გურიელისა.

ისტორიული დრამა 2 მოქმედებად.

2-რე სანახაში.

იგინივე და ეკა.

ეკა. (ყუნარი და მეტად დაღონებული მარჯვენა
კარგში გაჩერდება და გაოცებული შესქერის ამათ).

დოლიძე. (ხანჯალს გადაჯგებს, სწრაფად წა-
მოადგება და მიესალმება). უიპ, შენი კირიმე, ბატო-
ნიშვილო, მამატიე, რომ რიგინად ვერ დავიხვდი!

ეკა. არაფერია, ჩემო დოლიძე! (მაჭუტაძეს,
რომელიც გულ-ნაწყენი ადგება და ტანისამოსის ისწო-
რებს; ხანჯალს აადებს და ქარქაში ჩაჯგებს) დავით!

რა დროს თქვენი ქიდაობაა? დაგცა დოლიძემ?..
იასე ღონიერია... ბევრჯელ მინახავს გურიის ამისი
ქიდაობა... არავინ არის გურიაში ამისი დამცემი!

მაჭუტაძე. (მოწინააღმდეგე) დიახ, ბატონიშვი-
ლო, ურთი-ერთის ღონე ვსკადეთ და ამან მაჯობა!

ეკა. ქიდაობის წესი უნდა შეასრულოთ!
მაჭუტაძე. რომელი, ბატონო?

ეკა. ურთი-ერთი უნდა გადაჰკონოთ!

მაჭუტაძე. დიახ, შენი კირიმე! (მეფა დადო-
ძესთან და ზიზღით გადაჭყიტისის სანჯუგ, ხმა ამო-
უღებლივ).

ეკა. (მაჭუტაძეს) დავით ბატონიშვილთან
იბრაჰიმ-ფენდია, რალაც ბრძანება მოიტანა და
შენი ნახეა უნდათ! წადი, დავითს მიჰხედე და მა-
ლე მაცნობე, რა ამბავია.

მაჭუტაძე. ახლავე, ჩემო ბატონო, გიახლე-
ბი! (გაფა შუა კარებში).

3-რე სანახაში.

ეკა და დოლიძე.

ეკა. (წინ წამოაგა და ტახტზე ჩამოჯდება) იასე!
ამ მწუხარე დროს, ქიდაობა რამ მოგაგონათ, რომ
ვე დარბაისელი კაცო დაამარცხე?

დოლიძე. ვხუმრობდით, შენი კირიმე!

ეკა. ეპ, ჩემო იასე, რა დროს ხუმრობაა,
როცა გული-გულის ალაგას არ არის?!

დოლიძე. რატომ, შენი კირიმე? დამწვედი
გული, მალე მოვრჩებით ჩვენ წვალვას, მალე წა-
ვალთ გურიის და...

ეკა. აჰ, ნეტავი აგრე იყოს, სწორედ გული
ამომიჯდა აქ ყოფნით!

დოლიძე. ერთი თვეც არ გაივლის, ბატონო,
შინ მივალთ...

ეკა. შენ პირს შეპარი, ჩემო იასე!

დოლიძე. იბრაჰიმ-ფენდის მოსვლის მიზეზი
ვიცი, ბატონო; გუშინ მითხრა, რომ დღეს სულთან
მამხელს მსურს შენი და ბატონიშვილი დავითის
ნახეა, თავის სასახლეში.

ეკა. (შეკრება) ჩემი ნახეა?.. დავილუბებთ
ჩვენ ყველანი!

დოლიძე. არა, შენი კირიმე, ღმერთმა და-
გიფაროს დალუბისაგან, მაგას ნუ ბრძანებ! შენ,
ბატონიშვილო, ისრე მოიტყეცი, როგორც მე და-
გარიგებ და ყველაფერი კარვად იქნება, ღმერთი
მოწყალეა!

4-ემ სანახაში.

ეკა. მითხარი ისევ ხომ იცი, ვინც ჩემთანა ხართ გურიიდან წამოსული, ისე არავის ვენდობი, როგორც შენ! ციცი ერთგული ხარ ჩენი და ისიც ვიცი; რომ არავითარი ძალა შენ ჩემს მოღალატედ არ გადაგაქცევს!

დოლიძე. შენს ღალატს ნუ მომასწროს მე ღმერთმა; არა, შენი ჭირიმე, ჩემო სამლოცველო, სათაყვანებელი და ნათელი მზე—შენა ხარ, ბატონიშვილო და შენი ღალატი, თუ ქრისტეს ღალატი—ერთია ჩემთვის.

ეკა. აბა, დამარიგე, როგორ მოვიქცე სულთანთან.

დოლიძე. აგრე თუ ეჩვენე, როგორიც ახლა ხარ, შენი ერთ გამოუთქმელის სიმშვენიერით, ცხადზედ—უცხადისა, რომ სულთანნი მოგიწონებს და შენი თავის შოვნას მოიწადინებს, ქალის სილამაზე ავხორცობის ამშლელია და რომ ეს არ მოხდეს, შენს სიმშვენიერეს ნუ უჩვენებ.

ეკა. ეგ როგორღა მოვახერხო?

დოლიძე. სახე დაიმიხინჯე! მური წაისვი, რომ აგრე გადაღადებულ თეთრ ვარდის ფრად ველარა განახოს; თვალით ღამაცერად იცქირე; თავი ჩაბლუნე, ხმას ნუ ამოიღებ და თუ ხმის ამოდება საჭიროდ იცნო, ილუღლუღე რაზე, თავი მოისულვლე, თუ გინდ მოიგიჟიანე კიდევ; ტანისამოსიც უშნო რამ ჩაიცვა, ღარიბად ეჩვენე და ბოლო—ღვთის ხელშია!

ეკა. ამით რა გამოვა?

დოლიძე. ის გამოვა, რომ სულთანნი შენ არ მოგიწონებს და მონღოლებს მალე თავიდან მოშორებას და თუ მოგიწონა, ჰარამხანაში ჩაგკეტენ; ქრისტეს რჯულს გამოგაცვლევინებენ და მერე...

ეკა. ოჰ, არა, ეგ არ შეიძლება... ნელ ცეცხლზედაც რომ დამწვან (უბიდან აზიანდებს ჰატანა თქმას ვჯანს და ჰატანა ხატს დუთას-შშბბდისას) ამას შე არ ვუღალატებ და არ დავგმობ!

დოლიძე. მტკიცედ იყავ იმაზედ რაცა ღრმად გრწამს! მაგ ჯვარსა და ხატსაც ნუ მოიშორებ გულიდან, რაც უნდა ვასაქირში იყვე—ეგ დავიფარავს და გიშველის.

ეკა. სოფიო და მამია გურიელის შვილი—ქრისტეს მოღალატე არ იქნება!

დოლიძე. ჰო, შენი ჭირიმე, აგრე, აგრე მტკიცე იყავ!

ეკა. (შეწუხარებათ) ისევ! გული მიწვრილდება როგორღაც!

დოლიძე. შენ მტერს გაუწვრილდეს გული, რასა ბრძანებ!

იგინვე დავით გურიელი, მაჭუტაძე, იბრაჰიმი და მაკა.

მაჭუტაძე. (შემოდან ეკვლანი შუა კარებში) ბატონო ჩემო! ბრძანება გახლავსთ სულთანის, რომ ახლავე იახლოთ ესკისერაიში!

დავით გურიელი. ეკა! ხოსრო-ფაშამ გამოგზავნა ეს კაცი (იბრაჰიმზე უჩვენებს, რომელიც ეკას დრმად დაუგზავს თავს) ჩვენ წასაყვანად...

ეკა. (გადაუხვევს დაფითს და ჰკატანის) ჩემო დავით! დავიღუპებით თუ იქ წავიდეთ!

დავით გურიელი. რაზედ დავიღუპებით, რას ამბობ?! სულთანს ჩენი გაცნობა უნდა, ხელს გაგვიმართავს, შემწეობას მოგვცემს, დავგასაჩუქრებს, როგორც მაჭუტაძემ მითხრა და!..

ეკა. ეჰ, დავით, მოგვცემს, მართალია მოგვცემს, თუ კეთლის თვალთ შემოგვცხად!

მაჭუტაძე. შენ წინ შე უკეთილობას ვინ გავიბედავს?!

ეკა. ეჰ, ჩემო დავით... ყველგან თვალთ! ხომ იცი?

მაჭუტაძე. ყოველი ადამიანის თვალი შენ წინაშე ჰკრთება დაბნელებს შენის მშვენიერების სხივით...

ეკა. შენ სულ ჩემ სილამაზეზედ მეუბნები და იქნება სხვას არ მოეწონოს ჩემი გარეგნობა... ჯერ ვინ იცის!

მაჭუტაძე. ბატონიშვილო! კარგად და მდიდრულად მოიართე; რაც თვალ მარგალიტი და ძვირფასი რა ნივთი გაქვს; ყველა გაიკეთე; უკეთესი კაბა ჩაიცვი და მაშინ ვინ იქნება ისეთი ხორციელი დედა-მეწაფე, რომ შენმა გარეგნობამ ქუთაზედ არ შეშალოს!

ეკა. (თანაჟ ისევ გადასუდავს) კარგი... ენახოთ რა იქნება... მაკა, წაპოდი ჩემთან, მოვემზადო წასასვლელად.

მაჭუტაძე. ბატონიშვილო! ისევ დოლიძე გაცხეება სულთანთან!

ეკა. კარგი! ისევ გამყვეს! (გუჯ მანჯუქანს კარებში).

5-თი სანახაში.

მაჭუტაძე, დოლიძე, დავით გურიელი და იბრაჰიმი.

მაჭუტაძე. ისევ! ბატონიშვილი დავით მორთე საუკეთესო ტანსაცმელით, ალის ფრად ჩააცვიო.

დოლიძე. (დავით გურაქსს) წამობრძანდი, ბატონიშვილო!

დავით გური. წავიდეთ მალე, ნულარ ვაგვი-
ანებთ! (გადაან შუა კარებში).

6-სმ სანახაზი.

მაჭუტაძე და იბრაჰიმი.

მაჭუტაძე. იბრაჰიმ-ეფენდი! შენი იმედი მაქვს,
რომ როგორც ტრაპიზონში დამპირდი, ყოველს
გარემოებას მაცნობებ ხოლმე, რასაც კი შეიტყობ
ამ ობლეთის შესახებ.

იბრაჰიმი. შენ კარგად მოგეხსენება, რომ
დღეა ჩემი გურული ქალი იყო და მამა ჩემი კი
მაქახელი, გვარად კვაჭანტურია; მაშასადამე შე
გურული ვარ და ჩემი მთავარი მამია გურიელის
შვილებზედ ცუდს არას განვიზარხავ; ჩვენ ვიყუ-
ავით დავით გურიელის ყმები, ვინც ნაგომარში
ვცხოვრობდით; ჩვენმა ბატონმა ზოგი-ერთი ყმა
ხოსრო-ფაშას მიჰყიდა, იმათში მეც ვერეე, ექვსი
წლისა რომ ვიყავი შავი ზღვის მეკობრეებმა აქ
გაღმომიყვანეს, მას აქეთ ამათს სამსახურში ვარ
და აქაც ჩემი ერთგულება უნდა ვუჩვენო... შე-
რიფ-ფაშაში აღწობა სულთან-მაჰმუდს ეკას სიმშვე-
ნიერე და ახლა განზარხვა აქეს შარამ-ხანაში შე-
ყვანის და რომ დააჯეროს ვინმე ეკა სულთანის
ცოლობაზედ და რჯულის გამოცვლაზედ, ხოსრო-
ფაშის ცოლს საღმასთს, მიაბარებენ მოსამზადებ-
ლად, იმის მხედველობის ქვეშ უნდა დაჰყოს რა-
მდენიმე ხანს.

მაჭუტაძე. რა საჩუქრებიც გამოვა სულთან-
საგან, იმისი მეთხვედი შენი იქნება, თუ დამეხმა-
რები ობლეთის საქმეში.

იბრაჰიმი. ხათრი-ჯამი იყავ; ჩემი იმედი გქო-
ნდეს, ყველაფერს გაცნობებ. შენ ახლა მაკას
საქმე გამირიგე, ხოსრო-ფაშას ფრიად მოსწონს და
თავისთვის უნდა. (ამოადებს ქისის) აი ქისა, სამასი
ოქროს რუფი; მიეცი გოგოს, რომ საქურისის
უფროსს გაჰყვეს დღეს.

მაჭუტაძე. (გამოაიხთოქვს ქისის) კარგი! ეკა
რომ სასახლეში წავა, მოველაპარაკებო გოგოს;
შენ ახლა წადი და უბრძანე ეკასთვის ეტლი მო-
აზადონ, ქვევითად ხომ ვერ წავა!

იბრაჰიმი. ეტლი მზად არის! მუშ ვიახლები.

მაჭუტაძე. კარგი, წადი! (აბრავიშია მძიმედ
თავს უკრავს და გაუა შუა კარებში).

7-ლმ სანახაზი.

მაჭუტაძე. (მარტა) ჩენი ბედი ამ ორს გო-
გოზედ არის ახლა დამყარებული! თუ სულთანმა

ეკა მოიწონა, ხომ იმასაც გააბედნიერებს და ჩვენც
და მე... მე ხომ ფაშობა და სიმდიდრე ხელიდან
არ წამივია... საქმე ის არის, რომ ეკამ არა იქმნა-
კონს რომ სხვისი ჩაგონებით... ისეე დოლიძე,
ვატყობ, ხელს მიწლის ჩემს დაწყობილობაში...
ეკას სჯერა იმისი ყოველი სიტყვა და დეიძლ ძმა-
ზედ უფრო ძლიერ უყვარს... ძმა კი, დავით ბა-
ტონიშვილი?... ეჰ, იმაზედ ვიქრიც საქირო არ
არის, მეტად ნორჩია და სიმდიდრე თვალს დაუ-
ბნელებს, უარი არასფერში არ შეუძლია... ეკა
თუ სულთანს მისთხოვდა, მე ვიქნები მდიდარი,
თავისუფალი, ფაშა და გურიასაც რუსების ხელი-
დან დავისხნით როგორმე და თუ უარზე დადგა
— მაშინ დაილუბება ყოველივე წლის ჩემი გულის
წადილი სრულებით ჩამიქრება. (ამ დროს გაშადას
მკა) აჰა!.. მაკა!.. მოდი აქ! რა ჰქმნა ბატონი-
შვილმა?

8-მმ სანახაზი.

მაჭუტაძე და მაკა.

მაკა. წაბრძანდა კიდევაც!
მაჭუტაძე. მადლობა ღმერთს!.. აქეთ მოდი,
გოგო!

მაკა. რას მიბრძანებთ, ბატონო?
მაჭუტაძე. (დაცქერდება) ჰჰ!.. შენ არც კი
გეტყობა მწუხარება, რომ ურჯულოებში ჩაფარდი!..
აქ უფრო გაღამაზდი!

მაკა. (ეშმაყუდა) რასა ბრძანებ, ბატონო!
მაჭუტაძე. მე რომ ახლა ოცის წლისა ვყო-
ფილეთყავი, მაკა, შეგირთავდი და შენის სიყვა-
რულით დავსტკებოდი! ლამაზო!

მაკა. ი, ოჰ, ბატონო, რასა ბრძანებ, შენ
რად მიკადრებდი?

მაჭუტაძე. შენ სიღამაზესთან ჩემი კადრება
— აბა რა სათქმელია!.. მაკა! კარგა ბლომად ფუ-
ლი რომ მოგცენ, ურჯულოს ცოლად არ გახდებ-
ოდი?

მაკა. ურჯულო და რჯულიერი კაცი — კაცი
არ არის თუ? გულში შეიძლება ჩემი რჯული შე-
ვინახო და ვისიც მე ვიქნები — ვუჩვენებ, რომ
იმისი რჯულისა ვარ!

მაჭუტაძე. (ბრავად) ჰო; ოჰ!.. ქვეიანი გო-
გო ხარ, როგორც ვატყობ! და ამასთან დიდი
თამამიც! შენ არ დაილუბები, როგორცა ვხედავ!

მაკა. დასალუბი რა მაქვს?! მამა არა მყავს
და დედა, არცა დანი და ძმია, მარტო ვარ, მე და
ჩემი თავი და შემიერთავს აქა ვინმე, შემიერთოს და
ვიცხოვრებ კარგად!

მაჭუტაძე. აჰო, ო! ბარაქალა, ბარაქალა, გოგო! ჭკვიანი ხარ, სწორედ ჭკვიანი! (აქათ) აი, ნაბუშარი გოგო, მიგდებული ვილაცის ხელით მა-
მია გურიელის კართან, იცის რომ თავისი სილა-
მაზე არ დაჰლუავეს და ამიტომაც ასრე ურცხვად
მელაპარაკება! (შავს) გოგო! აჰა, შენ ასი რუფი,
იბრაჰიმ-ეფენდიმ მოგცა, მოგა შენთან და თან
გაჰყვი!

მაკა. რადა ბატონო?

მაჭუტაძე. რა და... წაგიყვანს თავის სახლში,
თავის რჯულს მიგაღებინებს და მერე ცოლად
აგიყვანს.

მაკა. ასი რუფი, ი, ი!.. ჰმ... ცოტაა, ბა-
ტონო! ხუთასი მომცეს ახლავე და ყოველს წელ-
საც ხუთას-ხუთასი რუფი მიძლიოს...

მაჭუტაძე. რად გინდა მაგოდენი ფული?

მაკა. შევაგროვებ კარგა ძალს ფულს და წა-
ვალ ჩემს გურიას.

მაჭუტაძე. მერე რაში უნდა გამოიყენო, შენ
მაგოდენა ფული?

მაკა. ვიყიდი მამულს, ვავთხოვდები, შეილე-
ბი მეყოლება და ვიცხოვრებ ჩემთვის.

მაჭუტაძე. ჰმ!.. არ არის ურიგო აზრი; ყო-
ჩად გოგო! როგორ ვათხოვდები, თუ კი აქაური
ქმარი გეყოლება?

მაკა. აქაურს თუ ვეყვარები. არ გამომყვება
თუ სადაც წავალ?

მაჭუტაძე. კარგი, ვეტყვი, რომ შენ უარზე-
და ხარ და ათასსა თხოულობ.

მაკა. დიხს! ათასი არა სჯობია?

მაჭუტაძე. ათასს გამოვართმევ და შენ კი
ხუთასს მოგცემ.

მაკა. რადა, ბატონო?

მაჭუტაძე. სამაშუალო შენგან არა მერგება რა?

მაკა. ჰო??.. თქვენ ხელში არ იქნება ფული?

მაჭუტაძე. კარგი! წადი ახლა შენს ბინაზე
და როცა მოგიკითხვენ, დავიძახებ.

მაკა. ბატონი ბრძანდები! (გადას).


9-რე სანახაში.

მაჭუტაძე. (მარტა) ჰმ!.. წყეული, წამხდარი,
ვარყენილი გომბიო! რა უსიკრებლოდ მელაპა-
რაკება! რჯულის გამყიდავი!.. ჰმ!.. შევაგროვებ
ფულსო, გადავალ გურიას, ვიყიდი მამულს და
ქმარსაც შევიერთავო! ხასობა სდომებია აქა!.. არ
დაიღუპება!.. ლამაზი კი არის, ღვთის წინაშე,
მართალი უნდა სთქვას კაცმა!.. ვაჟ-კაცსაც რომ
ჰქონდეს ქალთა მომხიზლავი სიმშენიერე, ხომ
არც ერთი არ დაიღუპებოდა ამ წამხდარს ქვეყნი-

ერობაზე... ოჰ, ქალი! ქალი! რა მიუწოდმელი და
რა ძნელი გასაცნობი სულდგმულია! ვის ძალ-უძს
მიუხედეს ქალს თუ რა უღვეს გულში და რა
სწადია! (გასძახებს შუა კარებში) იბრაჰიმ-ეფენდი!
იბრაჰიმ-ეფენდი! აქ მობრძანდი ცოტას ხანს!

კოტე ყოიანი.

(შემდგომი იქნება)




დ ე კ ი შ ე ბ ი.

„სკინჩას“ სააგენტოსაგან.

ქუთაისი. ეს არი ზღანოვიჩმა გამოგზანა ათა-
სი ქანქარი პეტრე მოციქულის სახელზე სადიდებ-
ლათ თვისა და საგინებლათ მოქიშვეთა მისთა.

თბილისი. გამოცხადდა ბრძანება ხაჩატუ-
როვისა რომლის ძალით ეძლევა „ნორდს“
უფროსი აფიციანტის ალაგი ხეჩატუროვის სასახ-
ლეში.

ყვირილა. დასრულდა სხდომა ყვირილის ბა-
ნოვანთა, რომლის თავმჯდომარეთ ქ-ნი აღზოვსკია
ბრძანდებოდა. გამოირკვა-ის რაცუნდა გამორკვეუ-
ლიყო, ქ. ჩხეიძის ქალმა თავის ნებით თავის სურ-
ვილით მისაკუთრა შკოლა, ნივთები საზოგადოე-
ბისა... ასეთია პსიხოლოგია ჩვენი პარტიული ინ-
დაურებისა,



ყურმოკრული საუბარი

სამარაში.

— ბატონო კატო ახალი ამბავი არაფერი
იციო? პოლიტიკური ორიზონტი ხომ არ იღრუ-
ბლება?

— „საკავკაზიეს“ ან დაკეტავენ ან დაჯარი-
მებენ 1000 მ. ერთი ცნობისთვის.

— მე ნაირი ცნობა „ლისტოკშიდაც“ ხომ
იყო დაბეჭდილი.

— მერე რა უყოთ... სანამ მე ცოცხალი ვარ
„ლისტოკს“ არა დაუშვებდა რა.

დიპლომატი.

გამომცემელი ე. დ. გორდელაძე.

პირველად

პირველად




ს. პ. დოროშენოვის




— მაღაზიაში —

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელეფონი № 583.



ს ა უ მ ო ბ ა ო

ბ ა ზ ა რ ი



ს ა ო ც ა რ ი ი ა ზ ო ბ ა

9 დღის განმავლობაში, ესე იგი

14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 22 და 23 დეკემბერს

ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში

ყველაფერი საოცრად იაფად იყიდება საქონელი.

ტრელეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია

კაცის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია

ქალის საცვლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია

ტრიკოტაჟის ნაწარმოების განყოფილებაში ყველაფერი იაფია

მოდის საქონლის განყოფილებაში ყველაფერი იაფია

აბრეშუმეულობის განყოფილებაში ყველაფერი იაფია

შალის მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია

ბამბის ფერად ქსოვილების განყოფილებაში ყველაფერი იაფია



სამებლო მატერიების განყოფილებაში ყველაფერი იაფია

ფანჯრებში

გამოკიდებულია საქონელი ყველა ცხრა განყოფილებიდან და თან აღნიშნულია საოცრად იაფი ფასები.

იაფე ვაჭრობის დღეებში სადილისთვის მაღაზია დაიკეტება

2¹/₂-დან 4 საათამდე.



კლ. და გრ. ჯაფარიძენი.

ავტორების ნებადართულად გადაბეჭდა აქრძიალუძაძე.
ქოლოგრაფსკოლის სტამბა, იაკი წერეთლის ქ. № 3.
მთაველი № 53

რუსთაველი

e 518
1909